

სოციალური პრობლემების მოგვარების ეფექტური გზა

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური პრობლემების მოგვარება პირველ რიგში ხელისუფლების საზრუნავია. მთავრობის მიერ სახელმწიფო დონეზე გატარებული არაერთი პროგრამის მიუხედავად, უმუშევრობა და სიღარიბე კვლავ უმძიმეს პრობლემებად რჩება. კიდევ უფრო მძიმეა პრობაციონერების, აივ ინფიცირებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მზრუნველობას მოკლებული ბავშვების, დევნილებისა - თუ სხვა მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობა. სამუშაოს მოძიება და საზოგადოებაში ინტეგრაცია მათ ყველაზე მეტად უჭირთ.

მსოფლიოში წამყვანი თუ განვითარებადი სახელმწიფოების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ პრობლემების მოგვარების საუკეთესო გზა ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის განვითარებაა. როგორც ცნობილია, ყველაზე კარგად ის პრობლემა გვარდება, რომელსაც თავად აგვარებ. ანუ, სოციალური საწარმო არის ბიზნეს პრინციპებით მოქმედი ორგანიზაცია, რომელსაც სათავეში ხშირად სწორედ ამ პრობლემების მატარებელი ადამიანები უდგებიან. მისი მოგება მხოლოდ ფინანსური სარგებლით არ განისაზღვრება. აქ მთავარი ამა თუ იმ კონკრეტული სოციალური პრობლემის მოგვარებაა. ანუ, ხშირად ეს სექტორი თავის თავზე იღებს იმ სერვისების მიწოდებას, თუ ფუნქციების შესრულებას, რომელთა მოგვარება სხვადასხვა მიზეზების გამო სახელმწიფო პროგრამებით ვერ ხდება. ამასთან, ადამიანების დასაქმებით და გადასახადების გადახდით ის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

მაგალითად, ინგლისში 62 000-ზე მეტი სოციალური საწარმოა, რომელთა წვლილი ქვეყნის ეკონომიკაში ყოველწლიურად 24 მილიონ ფუნტს შეადგენს. სექტორში დაახლოებით 800 000 ადამიანია დასაქმებული. ინგლისში ამ სფეროს განვითარებით, უშუალოდ ხელისუფლება იყო დაინტერესებული. ჯერ კიდევ 2002 წელს მთავრობამ 3-წლიანი სტრატეგია შეიმუშავა სახელწოდებით - „სოციალური მეწარმეობა - გზა წარმატებისკენ.“

სოციალური მეწარმეობა საქართველოში ახლა ვითარდება. ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯები სახელმწიფოს მხრიდან უკვე გადაიდგა. კერძოდ, მიმდინარე წლის იანვრიდან თბილისის მერიამ ევრაზიის ფონდთან ერთად სპეციალური პროგრამის განხორციელება დაიწყო. სოციალური საწარმოს შექმნით, ან გაფართოებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდში შეიტანონ საპროექტო განაცხადი საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებლად და მიიღონ თბილისის მერიისგან სესხი თანადაფინანსებისათვის იაფი კრედიტის პროგრამის ფარგლებში. გრანტის მაქსიმალური ოდენობა 10 ათასი დოლარია, სესხის კი 150 ათასი ლარი. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსის - ზვიად

არჩუადის განმარტებით: ეს არის კარგი გზა იმისთვის, რომ საზოგადოება იყოს ორიენტირებული საკუთარი პრობლემების მოგვარებაზე და მათ ამის რეალური შესაძლებლობა მიეცეთ.

ბატონო ზვიად, რამდენად მნიშვნელოვანია სოციალური მეწარმეობის განვითარება სახელმწიფოსთვის?

სახელმწიფოსთვის არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა ძალიან მნიშვნელოვანია. სოციალურად დაუცველი ფენებისათვის არაერთი დახმარების პროგრამა არსებობს. თუმცა ეს პროგრამა, თავისი არსით ბევრად განსხვავებულია. ადამიანებს საშუალება ეძლევათ მოაწყონ და განავითარონ საკუთარი ბიზნესი. მიღებული მოგება კი მათთვის აქტუალური სოციალური პრობლემის მოგვარებაში დახარჯონ. ეს ბევრად მეტია, ვიდრე ერთჯერადი ფინანსური დახმარება. ანუ ჩვენ ვასწავლით, ვაძლევთ საშუალებას - ისინი კი თავად აკეთებენ. ამ გზით საზოგადოება თვითონაც ერთვება არსებული პრობლემების მოგვარებაში და ხდება უფრო ქმედითი; რაც საქმის ეფექტურობას კიდევ უფრო ზრდის.

დაინტერესებულმა პირებმა თუ ორგანიზაციებმა როგორ უნდა მოიპოვონ თქვენი დაფინანსება?

პირველ რიგში, მსურველებმა სოციალური საწარმოს პროექტი უნდა მოგვაწოდონ თბილისის მერიამში, ან ევრაზიის ფონდში. საწყის ეტაპზე, ფონდი აფასებს რამდენად ატარებს შესული პროექტი სოციალურ ხასიათს, ბანკი კი ბიზნეს რისკებს - იქნება თუ არა ინიციატივა მომგებიანი. დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში ჩვენ გავცემთ სესხს, ევრაზიის ფონდი კი გრანტს. გრანტის მისაღებად აუცილებელი მოთხოვნაა, რომ პროექტის ღირებულების მინიმუმ 30% სესხით შეივსოს. მისი დაფარვის მაქსიმალური ვადა კი 60 თვეა. თბილისის მერიის ფარგლებში პროექტი ახლახანს დაიწყო. ჯერჯერობით განაცხადები არ შემოსულა, მაგრამ იმედი გვაქვს ინიციატივა წარმატებული აღმოჩნდება და ბევრ ადამიანს დაეხმარება. ამასთან, დამატებით არაერთი სამუშაო ადგილი შეიქმნება. ჩვენთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა თუ სხვა მოწყვლადი ჯგუფების დასაქმება ძალიან მნიშვნელოვანია.

ჯერჯერობით ეს პროგრამა მხოლოდ თბილისში ხორციელდება. თუმცა, რეალური შედეგის და წარმატების შემთხვევაში, სოციალური მეწარმეობა საქართველოში უფრო მასშტაბური გახდება და სახელმწიფოსთვისაც მეტ დატვირთვას შეიძენს.

ჟურნალისტი სოფო ჯიაძე

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

